

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №

2023 წლის -----

ქ. თბილისი

**„სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №336 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №336 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის №39 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 20/01/2020, 340020000.10.003.021747) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„9. მე-6 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6<sup>1</sup> და 6<sup>2</sup> მუხლები:**

**„მუხლი 6<sup>1</sup>. ზოგიერთი სათესლე მასალისთვის ერთჯერადი გამოყენების შეფუთვის სისტემები**

1. ზოგიერთი სათესლე მასალისთვის შეფუთვის სისტემა უნდა იყოს ერთჯერადი გამოყენების. აღნიშნული მოთხოვნა ეხება:

ა) საფურაჟე კულტურებს:

ა.ა) *Lupinus albus* – თეთრი ხანჭკოლა;

ა.ბ) *Lupinus angustifolius* – ლურჯი ხანჭკოლა;

ა. გ) *Lupinus luteus* – ყვითელი ხანჭკოლა;

ა.დ) *Pisum sativum* – ჩვეულებრივი ბარდა;

ა.ე) *Vicia faba* – ცერცვი;

ა.ვ) *Vicia pannonica* – უნგრული ცერცველა;

ა.ზ) *Vicia sativa* – ჩვეულებრივი ცერცველა;

ა.თ) *Vicia villosa* – ბანჯგვლიანი ცერცველა;

ბ) მარცვლოვან კულტურებს.

2. ქაღალდის ან პლასტიკურ ტარას არ უნდა ჰქონდეს არანაირი ღია ჭრილი, გარდა სათესლე მასალით შესავსები მოწყობილობისა, რომელიც იფუთება შევსების შემდეგ თვითწებვადი ან თერმოდამლუქი სისტემით ისე, რომ შეუძლებელი იყოს მისი დაზიანების გარეშე გახსნა.

3. უქსოვადი მასალისაგან დამზადებული ტომრები იფუთება გაკერვით, იმ პირობით, რომ გასახსნელის, სულ მცირე, ერთ მხარეს იყოს ციფრული შკალის ანაბეჭდი, რომლის წაშლაც შეუძლებელია, ან მსგავსი ანაბეჭდები (ასოები, ესკიზი), რომელიც გვიჩვენებს, რომ ტომრებმა შეინარჩუნეს მათი თავდაპირველი ზომები.

4. Helianthus annuus – მზესუმზირის ქაღალდის ან პლასტიკური ტარისთვის, რომელსაც არ აქვს არანაირი ჭრილი, გარდა შესავსები მოწყობილობისა, რომელიც იკეტება იმ ზეწოლით, რომელიც გამოწვეულია შევსებული თესლის წონით, შესავსები მოწყობილობის სიგრძე არ უნდა იყოს ტომრის სიგანის 22%-ზე ნაკლები.

**მუხლი 6<sup>2</sup>. გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად კონსერვაციისთვის განკუთვნილი საფურაჟე კულტურების თესლის ნარეგების ეტიკეტირებასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები**

1. გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად კონსერვაციისთვის განკუთვნილი საფურაჟე კულტურების თესლის ნარეგები ბაზარზე უნდა განთავსდეს მხოლოდ დახურული შეფუთვით და დალუქული კონტეინერით.

2. დალუქვის უზრუნველსაყოფად, დალუქვის სისტემა უნდა შეიცავდეს სულ მცირე ეტიკეტს ან ლუქის სამაგრს.

3. შეფუთვა და კონტეინერი ისე უნდა იყოს დალუქული, რომ შეუძლებელი იყოს მათი გახსნა ლუქის დაზიანების და მწარმოებლის ეტიკეტის, შეფუთვის, ან კონტეინერის მთლიანობის დარღვევის მტკიცებულებების დატოვების გარეშე.

4. გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად, კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარეგების შეფუთვაზე და კონტეინერზე მწარმოებლის ეტიკეტი უნდა იყოს დაბეჭდილი, ან დამტამპული და შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:

ა) ეტიკეტის ან მისი საიდენტიფიკაციო ნიშნის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და მისამართი;

ბ) მოსავლის აღების მეთოდი: პირდაპირ აღებული ნარევი, ან კულტურათა ნარევი;

გ) დალუქვის წელი გამოთქმული, როგორც „დალუქულია...“ (წელი);

დ) წარმოშობის რეგიონი;

ე) წყაროს არეალი;

ვ) **შეგროვების** ადგილი;

ზ) **შეგროვების** ადგილის ჰაბიტატის ტიპი;

თ) სიტყვები: „კონსერვაციისთვის განკუთვნილი საფურაჟე კულტურების თესლის ნარევი, რომელიც განკუთვნილია იმავე ჰაბიტატის ტიპის ტერიტორიაზე გამოყენებისათვის, როგორც **შეგროვების** ადგილია, ბიოტური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე“;

ი) ეტიკეტის დამაგრებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მინიჭებული პარტიის საცნობარო ნომერი;

კ) კომპონენტების პროცენტული შემცველობა სახეობების და საჭიროების შემთხვევაში, ქვესახეობების მიხედვით;

ლ) დეკლარირებული წონა ნეტო ან ბრუტო;

მ) როდესაც გამოიყენება გრანულირებული პეტიციდები, პელეტირებადი ნივთიერებები, ან სხვა მყარი დანამატები, მიეთითება დანამატის სახეობა და ასევე კლასტერის, ან თესლის სუფთა წონასა და მთლიან წონას შორის სავარაუდო თანაფარდობა;

ნ) კონსერვაციისთვის განკუთვნილი კულტურათა ნარევის შემთხვევაში, ნარევის კომპონენტებისათვის თესლის აღმოცენების სპეციფიური მაჩვენებელი, რომელიც არ შეესაბამება „საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის N46 დადგენილების დანართი N2-ით თესლის აღმოცენებისადმი დადგენილ მოთხოვნებს;

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტში საკმარისია მითითებულ იქნეს უშუალოდ პირდაპირ აღებული კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევის კომპონენტების სახეობები და საჭიროების შემთხვევაში ქვესახეობები, რომლებიც დამახასიათებელია შეგროვების ადგილის ჰაბიტატის ტიპისათვის, არიან ნარევის კომპონენტები და რომლებიც მნიშვნელოვანია ბუნებრივი გარემოს შესანარჩუნებლად, გენეტიკური რესურსების კონსერვაციის კონტექსტში.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტში საკმარისია მითითებულ იქნეს მოთხოვნილი თესლის აღმოცენების უნარის საშუალო მნიშვნელობა იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი სპეციფიური აღმოცენების უნარის მაჩვენებელი ხუთზე მეტია.“.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი**

**ირაკლი ღარიბაშვილი**

## განმარტებითი ბარათი

„სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №336 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

### ინფორმაცია პროექტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №336 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის დამტკიცებას.

პროექტის მომზადება განპირობებულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება. შეთანხმების XI-B დანართი, რომელიც შესწორებულია საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის 2017 წლის 7 მარტის №1/2017 გადაწყვეტილებით, შეიცავს ევროკავშირის იმ საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალს, რომლებთანაც უნდა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის აპროქსიმაცია (SPS საკანონმდებლო ნუსხა) დაახლოების ვადების მითითებით. მათ შორის არის 2010 წლის 30 აგვისტოს კომისიის 2010/60/EU დირექტივა, რომელიც იძლევა ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების პირობებში გამოყენებისთვის განკუთვნილი საკვები მცენარეების თესლის ნარევით ვაჭრობისგან გარკვეული გადახვევების უფლებას.

პროექტის შესაბამისად ახალი რედაქციით ყალიბდება „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №336 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის №39 დადგენილების მე-9 პუნქტი და უკვე ჩამოყალიბებულ მუხლ 6<sup>1</sup>-ს ემატება მუხლი 6<sup>2</sup> რომლითაც განისაზღვრა, გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად კონსერვაციისთვის განკუთვნილი საფურაჟე კულტურების თესლის ნარევების ეტიკეტირებასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები და დადგინდა რომ, გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად კონსერვაციისთვის განკუთვნილი საფურაჟე კულტურების თესლის ნარევები ბაზარზე უნდა განთავსდეს მხოლოდ დახურული შეფუთვით და დალუქული

კონტინერით, დალუქვის უზრუნველსაყოფად, დალუქვის სისტემა უნდა შეიცავდეს სულ მცირე ეტიკეტს ან ლუქის სამაგრს, შეფუთვა და კონტინერი ისე უნდა იყოს დალუქული, რომ შეუძლებელი იყოს მათი გახსნა ლუქის დაზიანების და მწარმოებლის ეტიკეტის, შეფუთვის, ან კონტინერის მთლიანობის დარღვევის მტკიცებულებების დატოვების გარეშე, გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად, კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარეგების შეფუთვაზე და კონტინერზე მწარმოებლის ეტიკეტი უნდა იყოს დაბეჭდილი, ან დაშტამპული და შეიცავდეს აღნიშნულ მუხლში განსაზღვრულ ინფორმაციას.

### **ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ**

პროექტი მომზადებულია, 2010 წლის 30 აგვისტოს კომისიის 2010/60/EU დირექტივის შესაბამისად, რომელიც იძლევა ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების პირობებში გამოყენებისთვის განკუთვნილი საკვები მცენარეების თესლის ნარევით ვაჭრობისგან გარკვეული გადახვევების უფლებას.

#### **გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება**

პროექტი არ ახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენას.

#### **ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება**

პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

#### **პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება**

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ამასთან პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის სამემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

### **პროექტის მოსალოდნელი შედეგები**

პროექტის შესაბამისად, განისაზღვრა გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად კონსერვაციისთვის განკუთვნილი საფურაჟე კულტურების თესლის ნარეგების ეტიკეტირებასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები, რითიც დადგინდა, რომ გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად კონსერვაციისთვის განკუთვნილი საფურაჟე კულტურების თესლის ნარეგები ბაზარზე უნდა განთავსდეს შესაბამისი პირობებით რაც გულისხმობს, დახურული შეფუთვით და დალუქული კონტინერით განთავსებას, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული თესლის ნარეგების ბაზარზე შესაბამისი პირობებით განთავსებას.

### **პროექტის განხორციელების ვადები**

პროექტი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, თუმცა „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების

თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №336 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის №39 დადგენილება ამოქმედდება 2024 წლის პირველი ივნისიდან, რაც შესაძლებლობას მისცემს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს სათანადოდ მოემზადონ პროექტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებისათვის.

ამასთან, ზემოაღნიშნული XI-B დანართის მიზნებისთვის, მითითებული ვადები უკავშირდება კანონმდებლობის დამტკიცებას (დაახლოვება), ხოლო მისი ამოქმედების (იმპლემენტაციის) საკითხი დამოკიდებულია ქვეყნის და კერძო სექტორის მზად ყოფნაზე. თავად შეთანხმების XI-A დანართი ახდენს აღნიშნული ტერმინების (დაახლოვება/იმპლემენტაცია) გამიჯვნას ერთმანეთისგან. კერძოდ, აღნიშნული დანართის მიხედვით, ქართულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დაახლოებული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაცია. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ დაახლოვება გულისხმობს კანონმდებლობის იმპლემენტაციასაც და ის ვადები, რომლებიც მოცემულია XI-B დანართში უკავშირდება კანონმდებლობის იმპლემენტაციას, გაურკვეველია ამავე შეთანხმების ზემოაღნიშნული ქვეპუნქტის სამართლებრივი დატვირთვა (დაახლოვებული კანონმდებლობის იმპლემენტაცია).

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასოცირების შეთანხმების საფუძველზე შექმნილი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული SPS ქვეკომიტეტის შეხვედრებზე, რომლის ფარგლებშიც საქართველო ახდენს ევროკომისიისთვის ანგარიშის წარდგენას კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებით, ყოველთვის ვაწვდით ინფორმაციას იმის თაობაზე თუ როდის მოხდება დაახლოვებული კანონმდებლობის ამოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისია ადასტურებდა საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, კანონმდებლობის დაახლოვება SPS სფეროში იყო ერთ-ერთი საფუძველი საბიუჯეტო დახმარებისთვის, დღემდე ამ კომპონენტის შეუსრულებლობის გამო რაიმე შეფერხება არ ყოფილა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ თავად ევროკავშირის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების დამტკიცების შემდეგ ხდება გარდამავალი პერიოდის დაწესება, რათა კერძო სექტორმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა მოასწრონ მომზადება ახალი მოთხოვნების შესრულებისთვის.

### **პროექტის ავტორი და წარმდგენი**

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.